

# სახელმწიფო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა

თეონა მშვიდლობაძე

გვანცა ხელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

# სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	2
სახელმწიფო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა .....	5
კიბერუსაფრთხოების განმარტება .....	5
კიბერდანაშაული და კიბერუსაფრთხოება .....	8
<i>კიბერდანაშაულის ტიპები.....</i>	8
<i>კიბერდანაშაულის განხორციელების ინსტრუმენტები .....</i>	11
<i>კიბერშპიონაჟის ცნობილი მაგალითები .....</i>	15
საერთაშორისო მაგალითები .....	17
<i>ამერიკის შეერთებული შტატები.....</i>	17
<i>რუსეთი.....</i>	20
<i>ჩინეთი.....</i>	25
საქართველოს კიბერსივრცე.....	28
<i>საქართველოზე განხორციელებული კიბერთავდასხმების და კიბერშპიონაჟის მაგალითები.....</i>	32
საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.....	46
<i>გაერო.....</i>	46
<i>საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის გაერთიანება.....</i>	47
<i>ASEAN რეგიონალური ფორუმი .....</i>	48
<i>ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization, NATO) ....</i>	48
სტატისტიკა.....	49
ინდექსი - THE NETWORKED READINESS INDEX.....	50
საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია .....	51
<i>კიბერუსაფრთხოების როლი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.....</i>	51
<i>საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.....</i>	53
კიბერუსაფრთხოების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში .....	54
<i>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.....</i>	54
<i>კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“ .....</i>	57
<i>საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ .....</i>	57
<i>კიბერუსაფრთხოების მარეგულირებელი ბრძანებები .....</i>	58
კიბერუსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანოები.....	59
<i>სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო.....</i>	59

<i>სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი</i> .....	60
კიბერუსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული საქმიანობა .....	61
<i>სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო</i> .....	61
რეკომენდაციები .....	66
<i>კიბერუსაფრთხოების ბერკეტები კერძო სექტორის და მოსახლეობის დონეზე</i> .....	66
<i>კიბერუსაფრთხოების ბერკეტები სახელმწიფო დონეზე</i> .....	68
დასკვნა.....	74
ბიბლიოგრაფია.....	76

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე, განმარტებულია კიბერუსაფრთხოების ცნება და ბერკეტები, კიბერდანაშაულის ტიპები, განხორციელების ინსტრუმენტები და კიბერშპიონაჟის და კიბერომის ცნობილი მაგალითები. წარმოდგენილია ინფორმაცია კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიის შესახებ, ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი აქტორების (სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების) კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის მაგალითები. საერთაშორისო დონეზე წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის და ჩინეთის კიბერთავდასხმების, კიბერომის და კიბერუსაფრთხოების შემთხვევები, ხოლო ადგილობრივ დონეზე განხილულია საქართველოზე განხორციელებული კიბერთავდასხმების და კიბერშპიონაჟის მაგალითები. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების: გაეროს, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის გაერთიანების, ASEAN რეგიონალური ფორუმის და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ გამოყენებული კიბერუსაფრთხოების ბერკეტები და მოდელები. ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს კანონმდებლობა კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული უსაფრთხოების ჭრილში და შემუშავებულია კიბერუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები და ბერკეტები. აქვე, წარმოდგენილია კიბერუსაფრთხოების სფეროში უკვე განხორციელებული პროექტები და საჯარო უწყებების საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც ამჟამად საქართველოში კიბერთავდაცვას უზრუნველყოფს, პასუხისმგებელი პირების ინტერვიუებით. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის კიბერთავდაცვითი უნარის გაუმჯობესებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, კიბერთავდასხმა, კიბერშპიონაჟი, კიბერომი, კიბერთავდაცვა, კიბერსივრცე, კიბერდანაშაული.